ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3407355

ნომერი: AR1522598

თარიღი : 13.07.2017

გაცემის თარიღი : 18.07.2017

გაცნობის თარიღი : 19.07.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მცხეთა , N 35-37 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარინა ბაკურაძე პ/ნ 01009016454
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. V კვ. კორ. 2 ბ. 12

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 2003 წლის 24 იანვრის #82 სამშენებლო პასპორტში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 13 ივლისს AR1522598 განცხადებით მომართეს მარინა ბაკურაძემ, ქეთევან ციციშვილმა და ნორა ხაზარაძემ, რომლებმაც მოითხოვეს არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 2003 წლის 24 იანვრის #82 სამშენებლო პასპორტში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 2003 წლის 24 იანვარს ქ. თბილისში, მცხეთის ქუჩა 35-37-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით გაიცა #82 სამშენებლო პასპორტი. აღნიშნული პასპორტი გაცემულ იქნა ორ საკადასტრო ერთეულზე, რომელთა საკადასტრო კოდები იყო 01.14.11.031.029 (522 კვ.მ.) და 01.14.11.031.030 (353 კვ.მ.).

განმცხადებლები ითხოვენ ხსენებულ სამშენებლო პასპორტში საკადასტრო კოდად დაფიქსირდეს N01.14.11.031.033 საკადასტრო კოდი და განახლებული საკადასტრო გეგმა (რეგისტრაციის თარიღი: 15.08.2007).
საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით დგინდება, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთები 01.14.11.031.029 (522 კვ.მ.) და 01.14.11.031.030 (353 კვ.მ.) გაერთიანდა და ჩამოყალიბდა N01.14.11.031.033 (განცხადების რეგისტრაციის N882017535719; მომზადების თარიღი: 20/06/2017) საკადასტრო ერთეულად.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 2003 წლის 24 იანვრის #82 სამშენებლო პასპორტში და საკადასტრო კოდად დაფიქსირდეს: N01.14.11.031.033 (განცხადების რეგისტრაციის N882017535719; თარიღი:20/06/2017). გათვალისწინებულ იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერში დაფიქსირებული ვალდებულება, თუ ის ეხება საპროექტო მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარებას;

2. არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 2003 წლის 24 იანვრის #82 სამშენებლო პასპორტში დაფიქსირდეს: საკადასტრო გეგმა (რეგისტრაციის თარიღი: 15.08.2007, ფართობი: 875 კვ.მ.)
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 2003 წლის 24 იანვრის #82 სამშენებლო პასპორტთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.